ესპანეთის გადაწყვეტილება, რომელმაც მუსლიმები გააბრაზა
ოთხშაბათი, 28 აგვისტო 2013 19:43

ესპანეთის შინაგან საქმეთა სამინისტრომ იმ გადაწყვეტილებას მოაწერა ხელი, რომელმაც ისლამური ქვეყნები გააბრაზა.
სამინისტრომ პოლიციის განყოფილებებში წიგნი "როგორ ვიცნოთ მყარი რელიგიური მუსულმანი?" დაარიგა და ასეთი ადამიანების დევნა მოითხოვა. საპილოტე რეგიონად კი ბარსელონა შეირჩა.
წიგნში მყარი რელიგიური მუსლიმების ფოტორობოტებია ასახული და წერია, რომ ამ ფოტორობოტების მსგავსი ადამიანები დაუყოვნებლივ კონტროლის ქვეშ უნდა აიყვანონ. მყარი მუსულმანის აღწერილობა კი ასეთია - ცოტა ულვაშიანი, 5-10 სმ. წვერი, ფართო შარვალიანი, სამუშაო ადგილი ალკოჰოლური სასმელების მაღაზიისგან შორს მდებარეობს, მათი შვილები სკოლებში ტანვარჯიშის გაკვეთილებს არ ესწრებიან, რამაზანის დროს მარხულობს, როგორც წესი, საზოგადოებაში არ ინტეგრირდება და თავის წრეში ურთიერთობენ და მეგობრობენ.
ადამიანების უფლებების დაცვით დაკავებულმა საერთაშორისო ორგანიზაციებმა კი აღნიშნეს, რომ პოლიციისთვის დარიგებული წიგნი მუსლიმებზე ნადირობის დაწყებას ნიშნავს და ეს კანონის საწინააღმდეგობა.

1 / 1